

რიკოთის საუღელტეხილო გზის (ზემო ოსიაური- ჩუმათელეთის დერეფნის)  
სამოდერნიზაციო ბუნებათსარგებლობა და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრობლემები

გიორგი ბაბუნაშვილი

ელ-ფოსტა: [giorgi.babunashvili786@ens.tsu.edu.ge](mailto:giorgi.babunashvili786@ens.tsu.edu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

საქართველო წარმოადგენს სატრანსპორტო დერეფანს ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდან იყო გამოყენებული სავაჭრო-სამიმოსვლო გზებისთვის. აქ გადიოდა ინდო-ჩინეთიდან შავი ზღვისკენ მიმავალი საერთაშორისო მნიშვნელობის სახმელეთო-საზღვაო ე.წ. „აბრეშუმის დიდი გზა“ (ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზა), რომელიც ჩინეთს ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან აკავშირებდა. ამ გზით ვაჭრობას დასაბამი მიეცა ჯერ კიდევ, ძვ. წ. მე-2 საუკუნეში.

დღესაც, საქართველოს მთავარი გზების მოდერნიზაციის პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგისტრალია აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალი, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე რთულ უბანს, გამომდინარე დერეფნის კლიმატური, ტოპოგრაფიული და გეოლოგიური და სხვ. პირობებიდან. ამასთან ერთად, მისი დერეფანი კვეთს მდინარე რიკოთულას და შემდინარე ხეეებს, მრავალ ადგილას. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის ეს მონაკვეთი ხასიათდება თავისუფალი გადაადგილების ხშირი შეფერხებით და მაღალი საავარიო რისკებით, განსაკუთრებით არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში. ამდენად, მისი მოდერნიზაციის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სატრანსპორტო გადაადგილების პირობები, შემცირდება მგზავრობის დრო და ავარიების რისკი.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი მეტად აქტუალურ პრობლემურ საკითხს შეეხება და მას ეძღვნება ნაშრომის 4 ძირითადი თავი, სადაც განხილულია საქართველოს სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ბუნებათსარგებლობა და მისი მახასიათებელი ფიზიკურ-გეოგრაფიული პარამეტრები; გარემოზე ზემოქმედების შეფასებისას გამოყენებული მეთოდები და მიდგომები; ზემო-ოსიაური-ჩუმათელეთის ავტომაგისტრალის მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპებთან დაკავშირებული გარემოს ფონური ტრანსფორმაცია და ზემოქმედების ხარისხისა და მასშტაბების შეფასება; ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის დერეფნის გარემოსდაცვითი მონიტორინგი და პროექტის ალტერნატიული ვარიანტები; სამაგისტრო ნაშრომის ბოლოს მოცემულია ავტომაგისტრალის მშენებლობასა და ექსპლოატაციის ეტაპებთან დაკავშირებული ღონისძიებები და რეკომენდაციები.